ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3726915

ნომერი: AR1562014

თარიღი : 01.12.2017

გაცემის თარიღი : 13.12.2017

გაცნობის თარიღი : 13.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარგიანი , N 2-4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი გაგნიძე პ/ნ 01010004278
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძეს ქუჩა, N 179, კორპუსი 2, ბინა 21

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1562014 ელექტრონული განაცხადი, ქ. თბილისში, მარგიანის ქ. #2-4-ში (ს/კ #01.14.02.022.038) მშენებლობასთან დაკავშირებით.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 24 ივნისის #1346792 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა მარგიანი, N 2-4, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.02.022.038), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი

სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2014 წლის 04 ივლისის #1370511 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებაში. კერძოდ, ნაცვლად მანსარდის ფართი – 285.5 კვ.მ–ისა დაფიქსირდა დამხმარე ფართი – 285.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობი ნაცვლად 530.9 კვ.მ–ისა დაფიქსირდა 524.9 კვ.მ.
“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს”
2017 წლის 23 თებერვლის #08 სხდომის დასკვნის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 24 მარტის N1-1-709 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, მარგიანის ქ. #2-4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.02.022.038) განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=3.8–ით. (სამსახურის 27.03.2017წ. #3124976 წერილი)
2017 წლის 14 ივლისის #3399016 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისის №8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.02.022.038, ფართობი 1278 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი : 882013546825, რეგისტრაციის თარიღი: 08.11.13 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2017 წლის 09 ოქტომბრის #3594009 გადაწყვეტილებით სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია #AR1542809 განცხადებაზე წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის, მდებარე ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარგიანის ქუჩა #2-4-ში (საკადასტრო კოდი: #01.14.02.022.038) საზღვრების კორექტირება.
2017 წლის 26 ოქტომბრის #3631559 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისის #8023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ამოღებულ იქნა ჩანაწერი: „– შენობის მაქსიმალურისართულიანობა განისაზღვროს 5 სართულით.“
2017 წლის 13 ოქტომბერს #AR1549070 ელექტრონულიგანცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ ბებიაშვილმა და მოითხოვა შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის (კ2) მოსაკრებელის გადახდის განაწილვადების თაობაზე, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.